


K 7149  
1

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
გეოგრაფიულ - კონკურსული სესია

ნ. პახედაძე და პ. გავრილოვი

## ქართული ზამპანი



საქართველოს სსრ გეოგრაფიული კულტურის  
გამოყენების

თბილისი

1955

635.9 (C4)

საქართველოს სსრ მიცნობრიგათა აკადემია

5375

მუსიკულ-ბობულარული სერია

ნ. კახელაძე და პ. გავარიანელი

## ქართული ზემოანი



K 7149  
—

36454

საქართველოს სსრ მიცნობრიგათა აკადემიის გამოცემლობა

თბილისი—1955

8. 1955.

## შ მ ს ა ვ ა ლ ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953-წლის<sup>2</sup> 3 სექტემბრის პლენუმის დადგენილება—„სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტია. სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი კომუნისტური პარტიის მშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვის კიდევ ერთი შესანიშნავი დადასტურებაა. პლენუმშია ამოცანად დასახა, უახლოეს 2—3 წელიწადში უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, განსაკუთრებით კი იმ დარგების მკეთრი აღმავლობა, რომლებიც სოციალისტური წევნის თანამედროვე ტაპისათვის სათანადო სიმაღლეზე ვერ დგანან. სოფლის მეურნეობის ამ დარგებიდან ჩვენში განსაკუთრებით ჩამორჩება მეყვავილეობა. იგი ვერ აქტიურობილებს ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის, მზარდ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს.

მართალია, ამ უკანასკენელი წლების მანძილზე, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ასევე ჩვენს რესპუბლიკაშიც, დიდი მუშაობა ჩატარდა მწვანე მშენებლობის ხაზით; საკმაოდ გამდიდრდა და მრავალფეროვანი გახდა ნარგაობანი ქალაქებსა და დაბა-სოფლებშიც; გაჩნდა ყვავილნარები ჩვენს ბაღებსა და პარკებში, სკვერებში, ქუჩის ბწვანე ზოლებზე; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასორტიმენტი, რომლითაც ჩვენი ყვავილნარები ფორმდება, ჯერ კიდევ ღარიბია და ერთფეროვანი.

ჩვენი ქვეყნის კეთილმოწყობისათვის მეყვავილეობის ჯეროვან სიმაღლეზე აყვანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი

ფეხდაფეხს უნდა მისდევდეს სხვა მოწინავე დარგებს და ყველაზე რელიეფურად ასახავდეს სოციალისტური წყობის ახალ-ახალ გამარჯვებებს.

ყვავილოვანი ასორტიმენტის ზრდის ერთ-ერთ წყაროდ გამოყენებული უნდა იქნეს ამ შერივადაც უხვად დაჯილდოებული საქართველოს ბუნების ველური რესურსები. საქართველოს ბუნება თავისი მკვეთრი და ცვალებადი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გამო შრავალსახოვან სადეკორაციო მასალას გვაძლევს. კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში უამრავი ისეთი ველური დეკორაციული მცენარე მოიპოვება, რომლებიც კულტურაში ყოველგვარი შეცვლისა და გარდაქმნის გარეშე შეიძლება იქნეს შეტანილი. ჩვენი ტყის ველური ფურისულები (*Primula*), მიხაკი (*Dianthus*), მაჩიტა (*Campanula*), ნარინჯისფერი ყაყაჩოები (*Papaver bracteatum* Lind., *P. orientale* L.), იორდასალამის (*Paeonia*) სხვადასხვა სახეობა. ტიტები (*Tulipa*), წყალიკრეფია (*Aquilegia olympica* Boiss.) და სხვა მრავალი ის შეტად მნიშვნელოვანი დეკორაციული მასალაა, რომლითაც თამამად შეიძლება ჩვენი ყვავილოვანი ასორტიმენტის გაზრდა.

ველურად გავრცელებული დეკორაციული მცენარეებიდან განსაკუთრებით იყორობს ყურადღებას ჩვენში გავრცელებული ზამბახის სხვადასხვა სახეობა. აპრილის ან მაისის თვეში აყვავებული ზამბახის შრავალფეროვნებას განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ულამაზესი სახეობა—ქართული ზამბახი (*Iris iberica* Hoffm.), რომლის ბადალიც დღეს კულტურაში არ მოიპოვება.

ქართული ზამბახის ყვავილის თვალწარმტაცი სილამაზე, თვით მცენარის ყინვა- და გვალვაგამძლეობა, გამრავლების სიადვილე, მინიმალური ღონისძიებების მოთხოვნა, რომელსაც მოითხოვს მცენარის კულტურაში შეტანა, ღირსეულ დეკორაციულ მცენარედ ხდის მას.

საქართველოს სსრ შეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ცოცხალ მცენარეთა განყოფილების მეცნიერითანამშრომლები დოკ. ა. მაყაშვილის ხელმძღვანელობით 10-ზე

შეტი წელია, რაც სწავლობენ ველურ დეკორაციულ მცენარეებს. ბოტანიკის ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთზე ამჟამად თავმოყრილია არა მხოლოდ ძირითადი ველური დეკორაციული მცენარეები, არამედ მათი ურთიერთ ხელოვნური შეჯვარების შედეგად მიღებული ახალი, უფრო გაუმჯობესებული ჰიბრიდული ფორმებიც.

ბოტანიკის ინსტიტუტი ქართული ზამბახით ყოველწლიურად ამარავებს თბილისის გამწვანების ტრესტის სანერგებს, სადაც ამჟამად უკვე შექმნილია ბაზა მომავალში წისი მასობრივი გამრავლებისათვის. გარდა ამისა, იგი საკმაო რაოდენობით იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ბოტანიკურ ბალებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

ქართული ზამბახი ჩვენი ბალ-პარკების ყვავილნარების და აგრეთვე სამრაწველო მეყვავილეობის ფართო ობიექტად უნდა იქცეს. გასულ წელს იგი პირველად გაჩნდა ბაზარზე და მეტად დიდი წარმატება მოიპოვა.

მიუხედავად მისი აგროტექნიკურ ღონისძიებათა სიადგილისა, ქართულ ზამბახს მეტად თავისებური ბიოლოგია ახასიათებს და მოვლა-დამუშავების წესითაც დიდად განსხვავდება ჩვეულებრივი ლურჯი ზამბახისაგან (*Iris germanica* L.).

წინამდებარე ბროშურის მიზანია, მიაწოდოს მრავალწლოვანი დაკვირვებების შედეგად დაგროვილი გამოცდილებანი სპეციალისტ-მეყვავილეებს და იგრეთვე იმ მოყვარულებს, რომლებიც მომავალში მოჰკიდებენ ხელს ქართული ზამბახის გამრავლების საქმეს.

## ზოგიერთი ცნობა ჩართული ზამბახის შესახებ

ზამბახის გვარის მრავალრიცხოვანი სახეობებიდან დღეს ჩვენს კულტურაში ძირითადად გავრცელებულია ლურჯი ზამბახი (*I. germanica* L.)<sup>1</sup>. იგი ჩვენი ბალების მაბეჭარი თანამყოლია. მის კულტურას ჩვენში არა მხოლოდ სპეციალისტი მეყვავილები იცნობენ, არამედ ყოველი სოფლის მეურნეც. თბილისის ახლომახლო სოფლებიდან მაისის პირველ რიცხვებში, იასამანის ყვავილთან ერთად, დიდი რაოდენობით ჩამოაქვთ ქალაქის ბაზარზე გასაყიდად კონებად შეკრული ზამბახის გაუშლელი კოქრები.

ზამბახის სახელწოდების ქვეშ ჩვენში, როგორც სოფლის, ისე ქალაქის მცხოვრებლები, ამ ლურჯი ფერის ყვავილს გულისხმობენ მხოლოდ და მათგან იშვიათად თუ ვინმემ იცის, რომ იმავე თბილისის ახლომახლო მიდამოებში ველურად გვხვდება მეტად ლამაზი შეფერილობის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც არამცთუ არ ჩამოუვარდება ამ უცხოურ ზამბახს თავისი დეკორატიულობით, არამედ უკეთესია კიდეც.

წარსული საუკუნის დასაწყისში მოსკოველი ბოტანიკოსი ჰოფმანი საქართველოს ესტუმრა. აქ მან უხვი ბოტანიკური მასალა მოიპოვა. თბილისის მიდამოებში მოგზაურობის დროს იგი პირველად წააწყდა ამ შესანიშნავი სილამაზის ზამბახს. შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ეს ზამბახი დედამიწის ზურგზე სხვაგან არსად არ გვხვდება და მეცნიერებისათვის სრულიად ახალ სახეობას წარმოადგენს. ბოტანიკოსმა მას ქართული ზამბახის (*I. iberica* Hoffm.) სახელწოდე-

<sup>1</sup> ლურჯი ზამბახი—*I. germanica* L. ველურად გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში.

ბა მიანიჭა და მას შემდეგ ეს ზამბახი ლიტერატურულ წყაროებში ამ სახელწოდებით არის ცნობილი.

თბილისის მიდამოებში დღეს ეს სახეობა ხშირად არ გვხვდება. ძველად კი იგი ძლიერ იყო თურმე გავრცელებული. ამ ადგილებში მათი რაოდენობრივი შემცირების მიზეზი მოჰყავს ბოტანიკოს ნ. ტროიცკის. აი, რას წერს იგი: „თბილისის მიდამოების მშრალი გორაკების ერთი დამამშვენებელთაგანი, ზამბახის ლამაზი სახეობა *I. iberica* Hoffm. ამ რამდენიმე წლის წინათ ყოველ გაზაფხულზე, აპრილში სავსებით ფარავდა თავისი ყვავილებით ლრმალელს ახლომახლო გორაკების ფერდობებს. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში უცხოელების მიერ ხშირად იგზავნებოდა ექსპედიციები ჩეენში ველურად გავრცელებულ ყვავილოვან მცენარეების შესაგროვებლად, და მათ მიერ ამ მცენარის იმდენად დიდი რაოდენობა იქნა გატანილი, რომ ამჟამად იგი დასახელებულ რაიონებში უკვე იშვიათია და მომავალში შესაძლებელია სრულიადაც მოისპოს...“ (ა. გროსჟეიმი, დ. სოსნოვსკი, ნ. ტროიცკი, საქართველოს მცენარეულობა, თბილისი, 1928, გვ. 159).

რა თქმა უნდა, ბოტანიკოს ნ. ტროიცკის გაფრთხილება მეტად დროული და სამართლიანი იყო; ქართულ ზამბახს უსათუოდ სრული მოსპობა მოჰყევებოდა, რომ არ შეწყვეტილიყო უცხოელების მიერ საქართველოს ველურ დეკორატულ მცენარეთა დაუზოგავი გაზირვა. მაგრამ ამჟამად ამის შიში აღარ არის. ქართული ზამბახი დღეს არა მხოლოდ ბუნებაში გვხვდება, არამედ კულტურაშიც საქმაო რაოდენობით გვაქვს. ამჟამად ჩეენი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად გავამრავლოთ და ვაქციოთ იგი ჩეენი სამრეწველო მეყვავილეობის ისეთივე ფართო მბიერტად, როგორც ლურჯი ზამბახია გავრცელებული.

ქართული ზამბახის სისტემატიკა და ბოტანიკური დახასიათება

ქართული ზამბახი ზამბახისებრთა ბოტანიკურ ოჯახს (*Iridaceae*) ეკუთვნის. იგი მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენა-

რეა, რომელსაც ახასიათებს მოკლე, მხოხავი, ჰორიზონტალურად განვითარებული ფესურები. მისი ფოთლები ღეგაა, მოკლე, ნამგლისებრ მოლუნული, ვიწრო ხაზური. ველურად გავრცელებული ქართული ზამბახის საყვავილე ღერო ჩვეულებრივ 15 სმ არ აღემატება. ოუცა ზოგჯერ ბუნებაში ვხვდებით ეგზემპლარებს, რომელთა საყვავილე ღერო 40 სმ აღწევს. ეს თვისება მათთვის უკვე მემკვიდრეობითია და მაღალ საყვავილე ღეროიანი ქართული ზამბახიც ცალკე სახესხვაობად არის გამოყოფილი *I. iberica* Hoffm. v. *robusta* D. Sosn. გაკულტურებული ზამბახის საყვავილე ღერო 70 სმ და კიდევ მეტსაც აღწევს. საყვავილე ღეროზე ჩვეულებრივ ერთი დიდი ყვავილი ვითარდება, რომელიც 10—15 სმ ზომას აღწევს (სურ. 1). ყვავილის ძირში განვითარებულია კვერცხისებრ—ლანცეტა ფორმის, ღეროზე შემოხვეული ორი თანაყვავილი. მარტივი ყვავილსაფარი გვირგვინისებრია, ექვსად გაყოფილი; აქედან სამი ქვევითა დახრილია და მათ ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები ეწოდება, სამი კი ზევით არის ამართული და ყვავილსაფრის შიგნითა ფოთლები ჰქეია. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებრია, კოვზივით ჩაზნექილი, მერთალ ყვითელ ფონზე ხშირი ზოლებით დაქსელილი. ზოლებს შუა წვრილად დაწინწერული, ცენტრში მსხიოლი, მომრგვალო-კვერცხისებრი, მუქი ყავისფერ-ღვინისფერი, თითქმის მოშავო ხავერდოვანი ლაქა აქვს. ლაქის შემდეგ, ძირისაკენ მუქი ყავისფერ-ღვინისფერი მოკლე ბეწვების ზოლი მოსდევს. ყვავილსაფრის შიგნითა ფოთლები მომრგვალო-უკუკვერცხისებრია, კიდეტალლოვანი, რკალივით მოხრილი, ძირში მოკლე ფრჩხილად შევიწროებული. საერთო ფონი ზოგჯერ მოცისფრო-თეთრია, ხოლო ზოგჯერ მოყვითალო-თეთრი. ამ ნიშნის გამო ქართული ზამბახის სახეახვაობა ძირითადად გაყოფილია. ორ ფორმად: „საქართველოს სიამაყედ“ (*I. iberica* Hoffm. v. *robusta* D. Sosn. f. *coerulea* G. Matv.) და „გამარჯვებად“ (*I. iberica* Hoffm. v. *robusta* D. Sosn. f. *cremea* G. Matv.). ფორმა „გამარჯვება“ გამოირჩევა კიდევ სხვა ნიშნებით: უფრო მწვანე ფოთლებით, ყვავილის სიდიდითა და

შედარებით დაგვიანებული ყვავილობით. ნასკვი ქვედაა, ისე  
რომ ყვავილში მხოლოდ ბუტკოს სამად გაყოფილი სვეტის ნაკ-  
ვთები მოჩანს, რომელიც ქვეეთ არის დახრილი და შეიძროდ



ნახ. 1. ქართული ზამბაზი.

ებჯინება ყვავილსაფრის ქვედა ფოთოლს. სვეტის ნაკვთები  
ზურგამოზექილია, კიდეებს ზევით აშვერილი, ყვავისფერ-ლვი-  
ნისფერი, ძირში უფრო მუქი. დინგი მთლიანია, მომრგვალო

თხელი, სიურიფანა და სვეტის ნაკვთის თავში (ქვედა მხრიდან მდებარეობს. სამტკერები მოცისფრო-თეთრია და მოთავსებულია სვეტის ნაკვთისა და ყვავილსაფრის ქვედა ფოთლის შუა. განაყოფიერების შემდეგ ვითარდება მოგრძო სამბუდიანი კოლოფი, რომელიც მრავალრიცხოვან თესლს იძლევა. თესლი მომრგვალო-მსხლისებრია, მუქი ყავისფერი; სრული მომწიფებისას დანაოჭებული ზედაპირით და თავში მოთეთრო ან მკრთალა ყვითელა დანამატით ხასიათდება.

### ბუნებრივი გამრცელება

ქართული ზამბახი მშრალი ადგილსამყოფელოების მცენარეა და საქართველოს მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილშია გავრცელებული. დასავლეთ საქართველოში ტენიანი პირობების გამო სრულიად არ გვხვდება. აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ზამბახის გავრცელების არეალი სტეპისა და ნახევარუდაბნოს რაიონებთანაა დაკავშირებული. მისი გავრცელების ყველაზე უკიდურესი დასავლეთი საზღვარი მცხეთის მახლობლად გადის და არეალი აქვთან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება, თანდათანობით ფართოვდება და შემდეგ რაიონებს იკავებს: ქ. თბილისის გარეუბნებს (ლრმა ღელე, ნავთლული, სოლანლული, კუმისისა და ლისის ტბის მიდამოები), ყარაის სტეპს (ველი, გაჩიანი, რუსთავი, გარდაბანი და ტბა ჯანდარის მიდამოები), გარეჯის ნახევარუდაბნოს (უდაბნო), შირაქს (წითელწყარო, ელდარი) და ნაწილობრივ გადადის აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც, სადაც ვრცელდება მტკვრისა და იორის მდინარეთშორისზე, მათ შესართავამდე. უფრო სამხრეთით გვხვდება ბორჩალოს რაიონში, კერძოდ, შაუმიანის, მარნეულის, არახლოს, კაჩაგანის, წითელი ხიდის მიდამოებში და იალლუჯზე.


იზრდება უმთავრესად ლია, მშრალ, ხრიოკ, სამხრეთ ფერდობებზე. იშვიათად ვხვდებით ბუჩქნარებში. მისი ვერტიკალური გავრცელების უკიდურესი საზღვარი ზღვის დონიდან 900 მეტრია (ჩობარდაგის ქედი).

დასახელებული ადგილების გარდა, ქართული ზამბახი დე-  
დამიწის ზურგზე არსად არ გვხვდება. იგი კავკასიის ენდემუ-  
რი<sup>1</sup> სახეობაა.

### ბიოლოგია

ქართულ ზამბახს მეტად თავისებური ბიოლოგია ახასი-  
ათებს. ზრდასრულებული მცენარე ვეგეტაციას აგვისტო-  
სექტემბერში იწყებს. ამ პერიოდიდან იგი უხვად იფოთლება  
და ახალ ამონაყარს იძლევა; ზამთრის მოახლოებისას და თვით  
სუსხიანი ზამთრის პერიოდშიც ფოთოლი არ უქრება და  
მწვანე რჩება. ყინვას საკმაოდ კარგად იტანს ( $-10$ — $15^{\circ}$ ). ქარ-  
თული ზამბახისათვის ზამთრის პერიოდი არასრული მოსვე-  
ნების პერიოდს წარმოადგენს, ვინაიდან ამ პერიოდში მისი  
მიწისხედა ნაწილები (ფოთლები) კვლავ მწვანე რჩება და  
მხოლოდ ზრდაა შეჩერებული. მოსვენების პერიოდი თებერვ-  
ლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში მთავრდება და ხშირად  
ჯერ კიდევ თოვლის ქვეშ მყოფი ზამბახი კვლავ იწყებს  
ზრდას და პირველად ახალი ფოთლების განვითარებას იძლე-  
ვა. აპრილის თვეში ზამბახს უვითარდება სხვა ფოთლებისა-  
გან განსხვავებული ორი უფრო გრძელი და სწორი ფოთო-  
ლი. ჯერ კიდევ მათი განვითარების ნააღრევ პერიოდში ამ  
ფოთლების ძირში ადვილი შესამჩნევია ჩასახული საყვავილე  
ღერო. საყვავილე ღერო ერთ ხანს ორივე ფოთლის ვაგინაში  
ზის, ხოლო შემდეგ ერთ-ერთ ფოთოლთან ერთად იზრდება.  
ამ ფოთლის ზრდის დასრულებასთან ერთად იხსნება ფოთ-  
ლის ვაგინა და საყვავილე ღერო თანდათანობით თავისუფლ-  
დება ფოთოლისაგან (ნახ. 2). საყვავილე ღეროს ზრდა-განვი-  
თარება ორ კვირას გრძელდება. ყვავილობა იწყება აპრილის,  
ზოგჯერ მაისის, პირველი რიცხვებიდან. გასაშლელად გამზა-  
დებული ყვავილი სწრაფად თავისუფლდება თანაყვავილები-  
დან და ასევე სწრაფად იშლება. ყვავილის სიცოცხლის ხან-

<sup>1</sup> ენდემური სახეობა, ე. ი. ისეთი, რომელიც დედამიწის ზურგზე მხოლოდ  
ერთ მხარეშია გავრცელებული და სხვაგან არსად გვხდება.




ပုန်. 2. ပျမ်းဆောင်ရွက် တွေ့ခြင်း နှင့် ဖွံ့ဖြိုးလေး ပုန်ဂျာတော်မူများ

გრძლიობა 4—5 დღეს არ აღემატება. ჯგუფად დარგულზ ზამბახის საერთო ყვავილობა სამ კვირას, ზოგჯერ ერთ თვე-საც გრძელდება.

ყვავილის განაყოფიერება ჯვარედინი დამტვერვით წარ-მოებს. გარეშე რეაგენტს, რომლის მეშვეობითაც ხდება მტვრის გადატანა ერთი ყვავილიდან მეორეზე, მწერი ბაზი წარმოადგენს. საინტერესოა, რომ ზამბახის ყვავილის აგებუ-ლება მეტად შეეფერება ამ წესით დამტვერვას. ბაზი ნექტრის ასა-ლებად ლრმად იჭრება ყვავილსა-ფრის ქვედა ფურცელსა და სვე-ტის ნაკვთს შუა და იმ შემთხვევა-ში, თუ მტვრის პარკი მომწიფე-ბულია, მთელი ზურგი მტვრით ეფარება. მტვრით დასკრილი მწე-რი ახლა მეორე ყვავილზე გადა-დის და სვეტის ქვეშ ხელახლა შე-ჭრისას ზურგით ქვევით დახრილ დინგს ეხება და ამტვერიანებს. ზამბახებში ჯვარედინ დამტვერვას ხელს უწყობს აგრეთვე ბიოლო-გიური მოვლენა, ე. წ. პროტან-დრია, რაც ნიშნავს, რომ ყვავილ-ში ჯერ მტვრიანები მწიფდება, შემდეგ ბუტკო (ნახ. 3). ქართულ ზამბახებში თვითდამტვერვის შემ-თხვევებსაც ვხვდებით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ნაყოფი და თესლი სუსტად განვითარებული რჩება.


განაყოფიერების შემდეგ ნასკვი განვითარებას იწყებს და ნაყოფად იქცევა. ნაყოფის სრულ მომწიფებას ზამბახი ივნი-სის შუა რიცხვებში ამთავრებს. ამ დროისათვის ზამბახის



ნახ. 3. დამტვერვა მწერის—ბა-ზის—მეშვეობით.

ვეგეტატიური ნაწილები—ფოთლები და თვით საყვავილე ლერო ნაყოფიანად იწყებს შეკვითლებას და კენობას. უკვე ივნისის ბოლო რიცხვებისათვის მიწისხედა ნაწილები მთლიანად ქრება. ამ დროიდან იწყება მისი ზაფხულის მოსვენების პერიოდი, რომელიც გრძელდება თვეს ან თვე-ნახევარს, ახალი ვეგეტაციის დაწყებამდე, ანუ აგვისტოს შუა ან ბოლო რიცხვებამდე.

ამრიგად, ქართული ზამბახის ბიოლოგიური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვეგეტაციას იწყებს აგვისტოს შუა ან ბოლო რიცხვებიდან, ზოგჯერ სექტემბრის დასაწყისიდან (ატმოსფერული ნალექების მიხედვით), მაშინ როდესაც სხვა მცენარეების უმეტესობა ჩვეულებრივ გაზაფხულზე იწყებს. გარდა ამისა, ქართულ ზამბახს ორი მოსვენების პერიოდი აქვს—ზაფხულისა და ზამთრის, ნაცვლად ერთისა—ზამთრის (ნახ. 4).




ნახ. 4. განვითარების ფენოლოგიური ფაზები წლის განმავლობაში.

### გამრავლება

ქართული ზამბახი ძალიან აღვილად მრავლდება. გამრავლება ხდება ორი წესით: თესლით და ვეგეტაციურად—ფესურებით.

**თესლით გამრავლება.** როგორც ზევით აღნიშნეთ, ზამბახი უხეად იძლევა თესლს. ერთ კოლოფში თესლის რაოდენობა შეიძლება საშუალოდ 40—60 ცალს უდრიდეს. მომწიფებული კოლოფი აღვილად იხსნება. თესლის დაბნევის თავიდან ასაცილებლად კოლოფი საჭიროა სრულ მომწიფებამდე იქნეს აჭრილი. ამისათვის კოლოფი შეიძლება მოიჭრას

ჟკვე იმ დროად ან, როდესაც იგი შეყვითლებას დაიწყებს, ზედაპირი ოდნავ დაუნაოჭდება და გახმობის პირველი ნიშნები დაეტყობა. კოლოფია დროულ მოქრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ლპობის თავიდან ასაცილებლად. ლპობა მაისის ხშირი წვიმებისაგან შეიძლება იქნეს გამოწვეული. აჭრილი კოლოფები დაბალ, 7—10 სმ სიმაღლის მუყაოს ყუთებში უნდა მოთავსდეს და მშრალ, მზიან ოთახში, სინათლესთან ახლოს დაიდგას, რათა მზის სხივები უშუალოდ ხვდებოდეს ნაყოფს (ნახ. 5). ასე შენახული კოლოფი და თესლი




ნახ. 5. კოლოფების აჭრის დრო: а) დროული, б) დაგვიანებით,  
г) გაშრობის წესი.

სრულიად ნორმალურად მწიფდება. გამშრალი თესლი უკვე მზად არის დასათვისად ან შესანახად. შესანახად ან დასაგზავნად გადადებული თესლი ქალალდის პარკებში უნდა ჩაიყაროს და ნორმალური აერაციისათვის პარკის მხოლოდ ორი მესამედი უნდა შეივსოს თესლით.

ქართული ზამბახის თესლის გაღივების დრო უშუალო ურთიერთობაშია თვით მცენარის ვეგეტაციის დაწყებასთან. მათ შორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, არსებობს რიტმული განვითარება. ეს იმას ნიშნავს, რომ თესლი გაღივებას სწო-

რედ იმ დროს იწყებს, როცა თვით მცენარის ვეგეტაცია იწყება, ე. ი. აგვისტო-სექტემბერში. ამიტომ მისი თესვის ნორმალური დროა თესლის მომწიფებილან მცენარის ვეგეტაციის დაწყებამდე. თუ ამ დროში მოვასწარით მისი დათესვა, ერთი თვის შემდეგ თესლების  $30-40\%$  გალივდება. თესლის გალივების ვადა სექტემბრილან დაწყებული ოქტომბერ-ნოემბრამდე გრძელდება, შემდეგ წყდება და დანარჩენი გაულივებელი თესლები მხოლოდ მეორე წლის აგვისტოში ან მესამე წლის აგვისტოში ღივდება. ქართული ზამბახის თესლი გალივების უნარს  $3-4$  წლის მანძილზე არ კარგავს. გაზაფხულზე მათი გალივება მხოლოდ  $1-2\%$ -ს უდრის.

თესვა სასურველია ორანჟერეის პირობებში ვაწარმოოთ, ვინაიდან აქ შესაძლებელი ხდება სასურველი ტემპერატურისა და სინოტივის დაცვა. გარეთ დათესვის შემთხვევაში თესლის დიდი რაოდენობა ვერ ღივდება. გარდა ამისა, ნორჩი აღმონაცენი ( $1-2$  წლის) მეტად სუსტია და ზამთრის სუსსა და ზაფხულის გვალვას ვერ იტანს (ნახ. 6).



ნახ. 6. თესლის გალივება.

ხის ყუთები ან თიხის ქოთნები, რომლებშიაც უნდა ვაზარმოოთ თესვა, შემდეგნაირად მზადდება: ძირში იყრება

მსხვილად დანაყილი აგური და ხის ნახშირი. შეა შრე კარგად გაცრილი ქვიშანარევი ნოყიერი მიწით იგსება, ხოლო სულ ზედა შრე—სუფთა ქვიშით. ამ შრეში ითესება თესლი. ვინა-იდან თესლი სკვერი მსხვილია, 1 ან 1,5 სმ სილრმეზე უნდა დაითესოს. ყუთის ან ქოთნის სიმაღლე 7—10 სმ უნდა უდრი-დეს. ნათესი საჭიროა დაცულ იქნეს ზაფხულის მზის სხივე-ბისაგან, ჭარბი სინოტივისა და აგრეთვე გამოშრობისაგანაც. ზამთრის პერიოდში ნათესის მორჩყეა საჭირო არ არის, ხო-ლო გაზაფხულ-შემოდგომაზე კვირაში ორჯერ ან ერთხელ უნდა მოიჩრდის. ზამბახი ზედმეტ ტენიანობას ვერ იტანს.

აღმონაცენის გადარგვა-დაშორიშორება აგრეთვე აუცი-ლებლად დროულად უნდა ჩატარდეს, ვინაიდან ეს უკანასკ-ნელი ხელს უწყობს სწრაფ განვითარებას.

ფესურებით გამრავლება. მართალია, თესლით გამრავლე-ბის დროს მცენარეთა დიდ რაოდენობას ვიღებთ, მაგრამ გამ-რავლების ამ წესს თავისი უარყოფითი მნარეც აქვს; თესლის გალივებიდან მცენარის სრულ განვითარებამდე, ე. ი. ყვავი-ლობამდე, 4—5 წელია საჭირო და, თუ კიდევ მივიღებთ მხედ-ველობაში მათი გალივების უნარს (თესლის ნაწილი პირველ წელს არ ღივდება), ნათელი გახდება, რომ საბოლოო შედე-გის ნისაღებად 6—7 წელია საჭირო. ფესურებით გამრავლე-ბას ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს. დაყოფილი ფესურე-ბის ნაწილები პირველი ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეორე წლის გაზადეულზე ყვავილობენ.

ქართულ ზამბახს, მრავალი სხვა ზამბახისაგან განსხვავე-ბით, მოკლე, ჰორიზონტალური, მკვეთრად დანაწევრებული ფესურები ახასიათებს (ნახ. 7 ა). ფესურის ყოველი ცალკე ნაწილი, ანუ სეგმენტი, მის წლიურ ნაზარდს ჭარმოადგენს. ვინაიდან ფესურას განსაზღვრული ზრდა ახასიათებს, ე. ი. ახალ-ახალ კვირტებს იკეთებს არა ერთი. მხრიდან, არამედ სხვადასხვა მხრიდან, ამიტომ მისი ყველაზე ძველი ნაწილი შუაგულშია მოქცეული. ქართული ზამბახის ფესურა რამდე-ნიმე წლის მანძილზე ერთ აღილას დაუყოფელი თუ დავტო-ვეთ, თანდათანობით რადიალურად გაიზრდება და შუაგული

სრულიად მოუტიტვლდება. ასე დატოვებული ფესურა დროთა განმავლობაში თანდათან დაკნინდება. ფესურას განახლებისათვის საჭიროა მისი სისტემატური დაყოფა. ზამბაბის ნორმალური ზრდისა და ყვავილობისათვის ფესურები



ნაჩ. 7. ფესურა: а) ნორმალური, б) დაყოფილი გასამრავლებლად.

საჭიროა ორ წელიწადში ერთხელ დაიყოს, ხოლო გამრავლების მიზნით შეიძლება ყოველწლიურად დანაწილდეს.

ფესურებით გამრავლების საუკეთესო დროს ზაფხულის მ ასევენების პერიოდი წარმოადგენს. ამ დროისათვის მცენარეს მთლიანად უქრება მიწისზედა ნაწილები — ფოთლები. იმ შემთხვევაში, თუ ფესურის დაყოფას მხოლოდ გამრავლებისათვის ვაწარმოებთ, ერთი ძირი შეიძლება 5—10 ნაწილად დაიყოს (ნახ. 7 ბ). თუ ფესურა მხოლოდ საყვავილე ეგზემპლა-



ნახ. 8. საყვავილედ დაყოფილი ფესურის ნაწილი.

რებად გვსურს დავყოთ, მაშინ ერთი ძირი ორად ან სამადუნდა დაიყოს (ნახ. 8).

ქართული ზამბახის ფესურები დიდხანს ინარჩუნებენ სი-  
ცოცხლის უნარს. ეს შესანიშნავი ოვისება საშუალებას გვაძ-  
ლევს ფესურები შორ მანძილზე გავგზავნოთ, ყოველგვარი  
დაზიანების გარეშე. მიწიდან ამოლებული, მშრალ პირობებში  
შენახული ფესურა 4—5 წლის განმავლობაში არ კარგავს სი-  
ცოცხლისა და საყავილე ღროს გამოტანის უნარს.

ფესურებით გამრავლება ან მცენარის გადარგვა ვეგეტა-  
ციის განმავლობაშიც შეიძლება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს,  
რომ ამ შემთხვევაში ზამბახი მხოლოდ მეორე წელს აყვავდება.  
ფესურებით გამრავლების საუკეთესო ღროდ ზაფხულის  
მოსვენების პერიოდი უნდა ჩაითვალოს.

### პზროტექნიკა

ვინაიდან ქართული ზამბახი ბუნებრივ პირობებში მხო-  
ლოდ მშრალ, მზიან ადგილებზე იზრდება, კულტურაშიც  
შესაფერისი ადგილი უნდა შევურჩიოთ. ნაკვეთი, რომელიც  
გათვალისწინებულია ზამბახის დასარგავად, მშრალი, ღია,  
მზიანი უნდა იყოს. ჩრდილში მისი დარგვა არ შეიძლება,  
ვინაიდან ვერ იყვავილებს. ხარობს მშრალ, თიხა-ქვიშა  
ნიადაგებზე. უკეთესად ვითარდება ორგანული ნივთიერებებით  
მდიდარ ფხვიერ ნიადაგზე და ამიტომ მისი კულტურაში დარ-  
გვის ღროს ნახევრად გადამწვარი ნაკელის შეტანა ნიადაგში  
კარგ ეფექტს იძლევა.

დარგვის წინ საჭიროა ნიადაგის მთლიანად გადაბარვა და  
ნაკვეთის ოდნავ ამაღლება, რათა მორწყვის ღროს წყალი  
დიდხანს არ შეჩერდეს ნაკვეთზე.

სასუქის შეტანა ჩვეულებრივ ფესურების დარგვის წინ  
ხდება, როდესაც ნაკვეთის მოვლა-გასუფთავებაა საჭირო. დი-  
დი რაოდენობით სასუქის შეტან სახიფათოა. ნორმალურია  
ერთ კვადრატულ მეტრზე ერთი კილოგრამი სასუქი. სასუქი  
შეიძლება ხელმეორედ იქნეს შეტანილი გაზაფხულზედაც.

ზამბახის ფესურები ნაკვეთზე უნდა დაირგას ერთმანეთი-  
საგან 10—15 სმ დაცილებით. მათი დარგვა შეიძლება რო-

გორც მწერივებად, ასევე შახმატური წესით. ეს უკანასკნელი წესი უკეთესია.

შემდეგი მოვლის აგროტექნიკა უკვე ნაკვეთის ნორმალურად მორწყვასა და გამარგვლაში მდგომარეობს. ვინაიდან ქართული ზამბაზი სრულიად ვერ იტანს ჭარბ სინოტივეს, მორწყვა დიდი სიფრთხილით უნდა ვაწარმოოთ. ყვავილობის დაწყებამდე და საერთოდ ვეჯეტაციის დროს, იმ შემთხვევაში თუ მშრალი გაზაფხული და შემოდგომა დადგა, ნაკვეთი კვირაში 1—2-ჯერ უნდა მოირწყას. ზაფხულის სრული მოსვენების პერიოდში ფესურები მხოლოდ ერთსელ მოირწყვება, მათი გამრავლება დარგვის დროს.

მეტად აუცილებელი აგროტექნიკური ღონისძიებაა გამარგვლა (მიწის გაფხვიერება, სარეველა მცენარეების მოცილება). რაც უფრო ხშირად გაიმარგლება წლის განმავლობაში ნაკვეთი, ნარგავი მით უფრო უკეთესად ვითარდება.

ჩართული ზამბაზის გამოყენება გამოვალი ჩართული ზამბაზი როგორც სათაიზულე და საჭოთო მასალა

ქართული ზამბაზი ძირითადად სამრეწველო მეყვავილეობაში უნდა იქნეს გამოყენებული. იგი საუკეთესო სათაიგულე მასალას წარმოადგენს. ზამბაზის ორი-სამი ყვავილისაგან შემდგარი თაიგული ოთახის ძეირფასი მოსართავია.

ვინაიდან ქართული ზამბაზის გაშლილი ყვავილი მეტად ნაზია, ძალიან მაღე ფუჭდება და ტრანსპორტს ვერ იტანს, იგი კოქორში უნდა იქნეს აქრილი. წყალში ჩადგმული კოქრები ნორმალურად იშლება და იმდენივე ხანს ცოცხლობს, რამდენსაც თვით მცენარეზე. შემჩნეულია, რომ გრილ, უმზეო ოთახში იგი უფრო მეტ ხანს ინახება (5—6 დღე).

ქართული ზამბაზის ბუნებრივი ყვავილობის ვადა, როგორც აღვნიშნეთ, მეტად ხანმოკლეა. მაგრამ, სამაგიეროდ, სათანა დო პირობების შექმნით მისი ყვავილობა შეიძლება წლის თითქმის ყოველ დროს გამოვიწვიოთ. ამას მნიშვნელობა აქვს სამრეწველო მეყვავილეობისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ გვინდა ზამბახის ყვავილი გვქონდეს მისი ნორმალური ყვავილობის დროზე უფრო მოგვიანებით, მაშინ მცენარე საყვავილე ღეროს და ყვავილის განვითარების გარევეულ პერიოდში (ნახ. 2, იხ. გვ. 12) უნდა აძოვილოთ მიწიდან და შევინახოთ სინათლიან მაცივარში ( $-2-3^{\circ}$ ). დაბალი ტემპერატურის გავლენით საყვავილე ღეროს და ყვავილის განვითარება დროებით ჩერდება და ასეთ პირობებში იგი თითქმის თვეს, თვე-ნახევარს ინახება. მისი მაცივარიდან გამოტანამდე  $3-4$  დღით ადრე მაცივარში თანდათანობით ემატება ტემპერატურა  $2-10^{\circ}$ -მდე და, როდესაც მცენარეს ზრდა შეეტყობა, ნაკვეთზე გამოვგაქვს. ნაკვეთზე გამოტანილი მცენარე სრულიად კარგად ყვავილობს და ყვავილებიც ნორმალური სიდიდის ვითარდება.

ზამთრის პერიოდში მისი ყვავილობის გამოსაწვევად საკიროა ფესურები იქნისის თვეში (მოსვენების პერიოდში) ამოვილოთ მიწიდან და დავრგათ ქოთნებში. ქოთნებში დარგული ცენარეები ოქტომბრის თვეში უნდა მოვათავსოთ მაცივარში მინუს  $2-3^{\circ}$ -ის პირობებში, ორი კვირის ვადით. ამის შემდეგ იგი ორანქერებიაში უნდა გადავიტანოთ  $15-20^{\circ}$ -მდე. ზამთრის მოკლე დღე ყვავილობის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია, ამიტომ ორანქერებიაში უნდა შევქმნათ დღის სინათლის გაზრდის პირობა, ელნათურის გამოყენებით.


ქართული ზამბახის კოკორი ნოტიო ხაგსში ან ქალალდში სათუთად შეფუთნილი შეიძლება გაგზავნილ იქნეს საკმაოდ შორ მანძილზე.

### ჩართული ზამბახის გამოყენება დეპორაციულ მებაღეობაში

ქართული ზამბახი ჩვენი ყვავილნარების უბადლო მოსართავს წარმოადგენს. იგი ბალში ეფექტურია ჯგუფურად დარგვის დროს (კლუმბებზე, რაბატებზე, ბორდურებზე, სურ. 9 და 10). კლუმბებზე საერთო ფონის შემქმნელი ხალიჩოვანი მცენარეები რაც შეიძლება მკრთალი ფერის უნდა შეირჩეს.



ნახ. 9. აყვავებული ქართული ზამბაზის ჯგუფი.



ნახ. 10. აყვავებული ზამბახები. ბოტანიკის ინსტიტუტის  
საცდელი ნაკვეთის ნაწილზე.

ხალიჩოვანი მცენარეების ასორტიმენტიდან ქართულ ზამბანთან ერთად დასარგავად შეიძლება გამოვიყენოთ: *Artemisia caucasica* Willd.—გიგა, *Cerastium tomentosum* D. C.—წიწილვკურა და *Sedum*-ის ქლდისდუმას დაბალი სახეობები.

ქართული ზამბანის როგორც ყვავილნარების გასაფორმებელი ასორტიმენტის ღირსებას ძალიან ამცირებს მათი ხანმოქლე ყვავილობა. ამიტომ იგი ბალის დროებით გასაფორმებელ მასალას წარმოადგენს (პპრილი და მაისის პირველი ნახევარი). სხვა დანარჩენ დროს იგი ბალის დამხმარე ნაკვეთზე უნდა დაირგას (სურ. 9 და 10).

### დააგადებანი და მავნებლები

ქართულ ზამბანს დიდ ზიანს იყენებს სო ზმით გაძოწვეული ავადმყოფობა ნაცრისფერი სიღამაღლე — *Muscatitis* ა. მის განვითარებას ხელს უწყობს ნიადაგის ჭარბი სინოტივე, განსაკუთრებით მცენარის მოსვენების პერიოდში. ნაცრის სიღამაღლე შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ფესურები თანდათანობით რბილდება, რუხ ფერს იღებს, ლპება და ლორწოვანდება. ფოთლები ნორმალური მწვანე ფერის ნაცვლად ყავისფერდება და ჭრება. საბოლოოდ მცენარე იღუპება. ფოთლების ძირში, მიწის ზედაპირთან ემჩნევა უხვად განვითარებული ნაცრისფერი ფიფქი, რომელიც სოკოს უსქესო გამრავლების საშუალებას წარმოადგენს — კონიდიათმტარებს სპორებით. გარდა ამისა, დაავადებული მცენარის ფესურებზე ჯგუფ-ჯგუფად ვითარდება ზავი ფერის ელიფსისებრი წარმონაქმნები — სკლეროციუმები, რომლების საშუალებით სოკო დიდხანს ინარჩუნებს სიცოცხლის უნარიანობას და ეგუება არახელ-საყრელ პირობებს.

დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებია:

1. დაავადებული მცენარის ფრთხილად ამოლება მიწის ჰედაფენიანად, რათა ნიადაგში სკლეროციუმები არ დარჩეს ან ამოლების დროს არ დაიფანტოს. ამოლებული მცენარე უნდა დაიწვას.

2. დაავადების გავრცელების კერებში საჭიროებს ნიადა-  
გის ზედა ფენის შეცვლას 10—12 სმ სიღრმეზე.

3. შეცვირდეს ან დროებით სრულიად შეწყდეს დაავადე-  
ბული მცენარის მორწყვა.

4. ნიადაგის დეზინფექცია ჩატარდეს დარგვემდე ორი  
კვირით 1-დრე, 2<sup>0</sup>/<sub>o</sub> კელიუმის პერმარგანატის ხსნარით, ერთ  
კვადრატულ მეტრზე 10—15 ლიტრის რაოდენობით.

5. მცენარის დეზინფექცია დარგვის დროს. გადასარგავი  
ფესურები მოთავსდეს 5% კალიუმის პერმარგანატის ხსნარში  
10 წუთის განმავლობაში.

ორანჟერეის პირობებში ზამბახის ნორჩი აღმონაცენის  
გამანადგურებელ მავნებელს წარმოადგენს ატმის ტილი—*Myzodes persicae* Sulz., რომელიც პატარა მწვანე მწუწნი მწე-  
რია, ფოთლებზე კოლონიებად დასახლებული. იგი მრავლდე-  
ბა როგორც უსქესოდ, ისე სქესობრივად, რის გამოც კო-  
ლონიები ძლიერ სწრაფად დადგება. კოლონიებში ერთად  
არის თავმოყრილი როგორც ტილი, ასევე მისი მატლიც,  
რომლებიც შეუწყვეტლივ სწუწნიან ფოთლის ქსოვილიდან  
წვენს, რის შედეგად ფოთოლი თანდათანობით სუსტდება,  
ყვითლდება და კენება. დაავადებით შეპყრობილი მოზრდილი  
მცენარე მართალია არ იღუპება, მაგრამ მაინც საგრძნობლად  
სუსტდება, ჩამორჩება ზრდაში და ყვავილობაში.

ატმის ტილის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაა:

1. შესხურება ანაბაზინ-სულფატის ან ნიკოტინ-სულფა-  
ტის ხსნარით. ხსნარი მზადდება შემდეგნაირად: ერთ ლიტრ  
წყალს ემატება სამი გრამი საპონი და შემდეგ 1,5 კუბ. სმ  
ანაბაზინ- ან ნიკოტინ-სულფატი.

2. დაავადებული მცენარეების ჰექსაქლორანის ფხვნილით  
შეფრქვევა.

მავნებელი მწერებიდან ქართულ ზამბახს მეტად. დიდ  
ზიანს აუყენებს ყვავილობის პერიოდში ხოჭოს ერთ-ერთი  
სახეობა—ბარჯველიანი ბრინჯაოლა (*Epicometis hirta* Poda).  
იგი საშუალო ზომის შებუსვილი ხოჭოა. ხშირად ჯერ კიდევ  
ოდნავ გაშლილ ქოკორში რამდენიმე ხოჭო ერთად იჭრება  
და ხარბად შეექცევა ყვავილის ნაწილებს. მათი მასობრივი  
გამრავლება მეტად საზიანოა ზამბახის ყვავილებისათვის.  
ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას ხოჭოების ხელით შეგროვე-  
ბა და მოსპობა წარმოადგენს.

შინაგანი

	83.
შესავალი . . . . .	3
ზოგიერთი ცნობა ქართული ზამბახის შესახებ . . . . .	6
ქართული ზამბახის სისტემატიკა და ბოტანიკური და- ხასიათება . . . . .	7
ბუნებრივი გავრცელება . . . . .	10
ბიოლოგია . . . . .	11
გამრავლება . . . . .	14
თესლით გამრავლება . . . . .	14
ფესურებით გამრავლება . . . . .	17
აგროტექნიკა . . . . .	20
ქართული ზამბახის გამოყენება გამწვანების საქმეში .	21
ქართული ზამბახი როგორც სათაიგულე და სა- ქოთნე მასალა . . . . .	21
ქართული ზამბახის გამოყენება ღეკორაციულ მებალეობაში . . . . .	22
დაავადებანი და შავნებლები . . . . .	23

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

\*  
რედაქტორი ალ. მაყა შვილი

გამომც. რედაქტორი გ. ლლონტი

ტექნიკური ა. თოდუა

კორექტორი ნ. თევდორაძე

გადაეცა წარმოებას 26.7.55. ხელმოწ. დასაბეჭდად 8.8.55. ქაღალდ.

ზომა  $84 \times 108^1/18$ . ქაღალდ. ფურც. 0,41. საბეჭდ. ფურც. 1,3.

სააგრძოლო 0,98. სააღრ.-საგამომც. ფურც. 1,02.

შეკვ. 1272. უკ 03275. ტირაჟი 2000.

ფასი 50 კაპ.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა  
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.

ფასი 50 კაბ.

Н. А. Кахеладзе и Б. Д. Гавриленко

ГРУЗИНСКИЙ ИРИС

(на грузинском языке)

Издательство Академии наук Грузинской ССР

ТБИЛИСИ — 1955